სუბიექტური პირის ფუნქციები, ბრუნვები და გამოყენება

ზამირა კობიაშვილი

2020 წელი

სუბიექტური პირის რაობა

სუბიექტურია პირი,რომელიც მოქმედებს,ან რაიმე მდგომარეობაში იმყოფება,მაგ.„წყალი ჩამოჩხრიალებს პატარა კლდიდან. იმ კლდის თავზე ტოტებშემხმარი ბებერი წნორი დგას“. პირველი წინადადების მიხედვით წყალი ჩამოჩხრიალებს, წყალი მოქმედებს, ე.ი. წყალი არის სუბიექრური პირი.
მეორე წინადადებაში სუბიექტური პირია წნორი,მაგრამ ამ შემთხვევაში ის კი არ მოქმედებს, არამედ დგას, გარკვეულ მდგომარეობაში იმყოფება.

სუბიექტური პირისა და ზმნის დამოკიდებულება

სუბიექტური პირი და ზმნა ურთიერთდამოკიდებულნი არიან,რადგან სუბიექტის მოქმედება ზმნით არის გამოხატული,ანუ სუბიექტი მოქმედებს და ამ მოქმედებას ზმნა გამოხატავს.

სუბიექტური პირი ზმნას პირის ნაცვალსახელით შეეწყობა.ზემოთ დასახელებულ წინადადებებში სუბიექტური პირების მიმართება ზმნებთან ასეთია: „წყალი ჩამოჩხრიალებს“, „კლდე დგას“. წყლისა და კლდის ნაცვლად რომ ვიგულისხმოთ პირის ნაცვალსახელები, ასეთ მიმართებას მივიღებთ: „ის ჩამოჩხრიალებს“,ის დგას“.

სუბიექტური პირის დადგენა

კითხვის საშუალებით ადვილად შეგვიძლია სუბიექტური პირის დადგენა და პირის ნაცვალსახელით მისი ზმნასთან შეწყობა:

„მოხუცი გაუნძრევლად ზის“.ვინ ზის? ზის ის.

გზაზე თოფმომარჯვებული ბიჭი მოდიოდა. ვინ მოდიოდა? მოდიოდა ის

კუნელის ბუჩქიდან შაშვი ამოფრინდა. რა ამოფრინდა? ამოფრინდა ის.

სუბიექტური პირების შეწყობა ზმნასთან

სუბიექტური პირი მოქმედ ან მდგომარეობის აღმნიშვნელ საგანს გამოხატავს. მოქმედი ან მდგომარეობის აღმნიშვნელი საგანი შეიძლება იყოს პირველი, მეორე ან მესამე პირი,შესაბამისად, ზმნას სუბიექტის სახით შეიძლება შეეწყოს პირველი, მეორე ან მესამე პირის ნაცვალსახელები, როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში,მაგ:

მხ.რ	მრ.რ
ვმუშაობ მე	ვმუშაობთ ჩვენ
მუშაობ შენ	მუშაობთ თქვენ
მუშაობს ის	მუშაობენ ისინი

სუბიექტური პირის ფუნქციები

სუბიექტური პირის ძირითადი ფუნქცია არის 1.გამოხატოს საგანი,რომელიც მოქმედებს (კაცი ატარებს მანქანას)
2. გამოხატავს საგანს,რომელიც გარკვეულ მდგომარეობაშია (ძაღლი წევს/ზის)
3.დამოკიდებულებას სხვა პირების მიმართ - ბავშვი ხატავს სურათს, ბავშვი უხატავს ძმას სურათს, ბავშვი იხატავს სურათს(დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ), ბავშვი ახატვინებს სურათს,ბავშვი ელაპარაკება დედას)

პ.ს მე-3 ში წარმოდგენილი საკითხები ცალკე განსახილველი თემებია

სუბიექტური პირის ფუნქციები და ობიექტური პირები

წარმოდგენილ მაგალითში მიმართება სუბიექტსა და ობიექტს შორის ასე გამოიხატება: ხატავს ის(s) მას(o).
განვიხილოთ წინადადება: ბავშვი სურათს უხატავს მეგობარს (უხატავს ის მას მას).მართალია, ამ წინადადებაში სუბიექტი (ბავშვი) პირდაპირ მოქმედებს ობიექტზე - სურათზე, მაგრამ მისი მოქმედება განკუთვნილია სხვისთვის, მეგობრისთვის, მეგობარს უხატავს სურათს, ანუ ირიბად სუბიექტის მოქმედება ეხება მეგობარს. პირს, რომელზეც პირდაპირ არ მოქმედებს სუბიექტი, მაგრამ სუბიექტის მოქმედება მასაც ეხება, ირიბი ობიექტი ჰქვია, ე.ი. მეგობარს ირიბი ობიექტია, სურათს კი - პირდაპირი,რაც ასე გამოიხატება: უხატავს ის(s) მას(პირ.o) მას(ირ.o)

პირთა რაოდენობა ზმნის ერთ ფორმაში

ზმნას შეიძლება შეეწყოს ერთი,ორი ან სამი პირი. იმის მიხედვით,თუ რამდენ პირს შეიწყობს, ზმნა შეიძლება იყოს
ერთპირიანი,ორპირიანი ან სამპირიანი. ერთპირიანი ზმნები: მუშაობს ის, ზის ის, დგას ის, მიდის ის, წვიმს ის, თოვს ის, კიდია ის, ცხოვრობს ის...

ორპირიანი ზმნები: ჭამს ის მას, აშრობს ის მას, კერავს ის მას, ჭრის ის მას, ძერწავს ის მას, ასწავლის ის მას...

სამპირიანი ზმნები: უკერავს ის მას მას, უძერწავს ის მას მას, უცხობს ის მას მას, უხატავს ის მას მას, უმზადება ის მას მას....

შეჯამება - სუბიექტური პირის ფუნქციები

1. გამოხატავს მოქმედ საგანს
2. გამოხატავს საგანს,რომელიც გარკვეულ მდგომარეობაშია
3. გამოხატავს დამოკიდებულებას - მოქმედებას - სხვა პირების (პირდაპირი და ირიბი ობიექტური პირების) მიმართ.

სუბიექტური პირის ბრუნვები

სუბიექტურ პირს მხოლოდ სამი ბრუნვა გააჩნია - სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, არ დაირთავს თანდებულებს.მისი ბრუნვები დამოკიდებულია სერიებსა და ზმნის გარდამავლობაზე. პირველი სერიის მწკრივებთან სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას, არა აქვს მნიშვნელობა ზმნა გარდამავალია, თუ გარდაუვალი.

აწმყო	აშენებს ის (კაცი)მას
უწყვეტელი	აშენებდა ის (კაცი) მას
აწმყოს კავშირებითი	აშენებდეს ის (კაცი) მას
მყოფადი	ააშენებს ის (კაცი) მას
ხოლმეობითი	ააშენებდა ის (კაცი) მას
მყოფადის კავშირებითი	ააშენებდეს ის (კაცი) მას

გამონაკლისია ვიცი და უწყის ზმნები,რომელთა სუბიექტებიც აწმყოს მწკრივებთან მოთხრობითშია: აწმყო: იცის/უწყის მან (ბავშვმა), უწყვეტელი: იცოდა/უწყოდა მან (ბავშვმა), აწმყოს კავშირებითი: იცოდეს/ უწყოდეს მან (ბავშვმა)

სუბიექტის ბრუნვა გარდაუვალ ზმნებთან

გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას. გამონაკლისებია ე. წ. საშუალ მოქმედებითი გვარის ზმნები,ანუ ის გარდაუვალი გვარის ზმნები, რომელებიც აწმყოს მესამე პირში სუბიექტური პირის ნიშნად მოუდით ს (დუღ-ს წყალი, წუხ-ს ქალი,გორავ-ს ბურთი...) ამ რიგში გადის ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები, რომლებთანაც სუბიექტი პირველი სერიის მწკრივებთან სახელობითშია, მეორე სერიის მწკრივებთან მოთხრობითში, მესამეში კი - მიცემითში: წვიმს ის, იწვიმა მან, უწვიმია მას, თოვს ის, ითოვა მას, უთოვია მას. ეს ზმნები წარმოშობით გარდამავლებია და ამიტომ.

გამონაკლისებია ე. წ. საშუალ მოქმედებითი გვარის ზმნები,ანუ ის გარდაუვალი გვარის ზმნები, რომელებიც აწმყოს მესამე პირში სუბიექტური პირის ნიშნად მოუდით ს (დუღ-ს წყალი, წუხ-ს ქალი,გორავ-ს ბურთი...) ამ რიგში გადის ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები, რომლებთანაც სუბიექტი პირველი სერიის მწკრივებთან სახელობითშია, მეორე სერიის მწკრივებთან მოთხრობითში, მესამეში კი - მიცემითში: წვიმს ის - იწვიმა მან - უწვიმია მას, თოვს ის -ითოვა მან- უთოვია მას,დუღს ის - იდუღა მან - უდუღია მას, წუხს ის - იწუხა მან - უწუხია მას...ეს ზმნები წარმოშობით გარდამავლებია და ამიტომ.

სუბიექტის ბრუნვა გარდამავალი ზმნებთან

გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა იცვლება სერიების მიხედვით.პირველი სერიის მწკრივებთან სახელობითშია, მეორე სერიის მწკრივებთან მოთხრობითში, მესამეში კი - მიცემითში

1-ელი სერია:კერავს მკერავი კაბას

მე-2 სერია: შეკერა მკერავმა კაბა

მე-3 სერია: შეუკერავს მკერავს კაბა